



GALT & TAGGART
CREATING OPPORTUNITIES

თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონება

2023 წლის ივლისის მიმოხილვა

ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი | evabochorishvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 8036

ზურაბ თავყელიშვილი

ანალიტიკოსი | ztavkelishvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 8973



2023 წლის ივლისის მიმოხილვა

გაყიდული ბინების რაოდენობა

2023 წლის ივლისში თბილისში 3,656 ბინა გაიყიდა, რაც წლიურად 4.7% და თვეურად 7.2%-იანი კლებაა, რისი მიზეზიც წინა პერიოდების მაღალი ბაზაა. აღსანიშნავია რომ, გაყიდვები გაიზარდა პირველად ბაზარზე (+13.9% წ/წ) და შემცირდა მეორად ბაზარზე (-13.5% წ/წ ახალ პროექტებში და -18.8% წ/წ ძველ პროექტებში). საბოლოო ჯამში, მიუხედავად მცირე კლებისა, ბაზარზე მოთხოვნა ჭანსალი რჩება.

2023 წლის ივლისში წლიური გაყიდვები შემცირდა თბილისის ყველა ცენტრალურ უბანში (საბურთალო, ვაკე, მთაწმინდა), ხოლო გარეუბნებში, სამგორში, დიდი დილომსა და ნაძალადევში, გაყიდვების მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა. ბაზრის სხვა ძირითადი მახასიათებლები უცვლელი დარჩა - გაყიდვებში საშუალო ზომის ბინების (51-80 მ²) წილის ზრდა და საშუალო/მაღალი კლასის სეგმენტების (\$801 - 1,800) მზარდი მიმზიდველობა.

ფასები

2023 წლის ივლისში ფასები პირველად ბაზარზე წინა თვესთან შედარებით 0.8%-ით გაიზარდა. ფასები ასევე გაიზარდა მეორადი ბაზრის ძველ ბინებზე 2.7%-ით წინა თვესთან შედარებით. ამისგან განსხვავებით, ფასები თვეურად 4.6%-ით შემცირდა მეორადი ბაზრის ახალ ბინებზე, რაც განაპირობა ფასების კლებამ საბურთალოზე, გლდანსა და ისანში (მეორად ბაზარზე ახალი ბინების მთლიანი გაყიდვების 39.4%).



ბაზრის ზომა

2023 წლის ივლისში თბილისში გაყიდული ბინების მთლიანმა ბაზრის მოცულობამ შეადგინა 256.3 მლნ აშშ დოლარი, რაც წლიურად 14.5%-იანი ზრდაა და ძირითადად წინა წელთან შედარებით გაზრდილი ფასებითაა განპირობებული.

ქირა

2023 წლის ივლისში უძრავი ქონების ქირა თვიურად 3.4%-ით გაიზარდა, რამაც თბილისის უძრავ ქონებას საინვესტიციო მიზიდველობა კიდევ უფრო შემატა.

სამშენებლო ნებართვები

2023 წლის პირველ 7 თვეში მშენებლობის ნებართვების გაცემა გაიზარდა წლიურად 76.8%-ით, რაც შესაბამისობაშია 2020 წლიდან არსებულ ზრდის ტენდენციასთან. თუ ეს ტრადიციულია შენარჩუნდება, მოსალოდნელია უძრავი ქონების ფასებსა და იჯარის განაკვეთებზე დადებითი ზეწოლა საშუალოვადიან პერიოდში, რაც გამოწვეული იქნება ბაზარზე ჭარბი მიწოდებით.

ყველაზე მეტი სამშენებლო ნებართვა გაცემულია საბურთალოზე, შემდეგ დიდ დილომსა და ისანში.

აღსანიშნავია, რომ 2023 წლის 7 თვეში ისნის, ვაკისა და საბურთალოს რაიონებში გაცემული სამშენებლო ნებართვების მნიშვნელოვანი მატებაა.




გაყიდვები

მეთოდოლოგიური შენიშვნა - ჩვენ ვყოფთ უძრავი ქონების გაყიდვებს სამ კატეგორიად:


- 1) პირველადი გაყიდვები** - სამშენებლო კომპანიების/დეველოპერების მიერ გაყიდული უძრავი ქონება
- 2) მეორადი გაყიდვები ახალ პროექტებში** - ინდივიდუალური მესაკუთრის მიერ გაყიდული უძრავი ქონება 2013 წლის შემდეგ გაცემული სამშენებლო ნებართვით აშენებულ პროექტებში
- 3) მეორადი გაყიდვები ძველ პროექტებში** - ინდივიდუალური მესაკუთრის მიერ გაყიდული უძრავი ქონება 2013 წლამდე გაცემული სამშენებლო ნებართვით აშენებულ პროექტებში

გრაფიკი 1: თვიურად გაყიდული ბინების რაოდენობა, '000 ერთეული




წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 2: ჭამურად გაყიდული ბინების რაოდენობა, '000 ერთეული




გრაფიკი 3: უძრავი ქონების გაყიდვები ზომის მიხედვით (მთლიანი გაყიდვების %)




წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 4: უძრავი ქონების გაყიდვები ფასის სეგმენტის მიხედვით (მთლიანი გაყიდვების %)






გრაფიკი 5: უძრავი ქონების ბაზრის ზომა, მლნ აშშ დოლარი



წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 6: გაყიდული ბინების რაოდენობა უბნების მიხედვით



წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი



ცხრილი 1: უძრავი ქონების გაყიდვები უბნების მიხედვით – ღირებულება, ერთეული და ფართობი, 2023 წლის 7 თვე


უბანი	ღირებულება (მლნ აშშ დოლარი)	ერთეული ('000)	ფართობი ('000 მ ²)
საბურთალო	404.1	4.1	314.8
დიდი დილომი	214.2	3.9	234.3
სამგორი	176.0	3.5	212.7
ვაკე	153.4	1.0	91.8
გლდანი	148.6	2.8	170.1
ისანი	121.0	2.0	126.5
დიდუბე	117.6	1.9	128.2
ნაძალადევი	115.2	2.0	126.5
კრწანისი	68.0	0.9	61.8
მთაწმინდა	67.6	0.5	42.2
ჩუღურეთი	45.9	0.6	42.9
ვაშლიჯვარი	45.0	0.6	46.3

წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი




ფასები

გრაფიკი 7: უძრავი ქონების საშუალო შენონილი ფასები, აშშ დოლარი/მ²



წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 8: უძრავი ქონების ფასები პირველად ბაზარზე (დეველოპერებისგან) უბნების მიხედვით, აშშ დოლარი/მ²



წყარო: გალტ & თაგარტი

შენიშვნა: მთაწმინდა და ჩუღურეთი არ არის გათვალისწინებული პროექტების მცირე რაოდენობის გამო (თითოეულ რაიონში 5-ზე ნაკლები პროექტი)



ცხრილი 2: უძრავი ქონების საშუალო შენონილი ფასები უბნების მიხედვით ივლ-23, აშშ დოლარი/მ²

უბანი	პირველადი ბაზარი	მეორადი ბაზარი ახალი პროექტები	მეორადი ბაზარი ძველი პროექტები
ჩუღურეთი		1,446	816
მთაწმინდა		1,295	1,330
ვაკე	2,030	1,865	1,454
საბურთალო	1,404	1,396	1,021
კრწანისი	1,344	1,104	845
დიღუბე	1,102	1,012	842
ნაძალადევი	1,009	970	770
ისანი	988	939	786
დიდი დიღომი	873	1,000	767
ვაშლიჯვარი	853	1,150	799
სამგორი	849	916	742
გლდანის	836	896	733


წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: მთაწმინდა და ჩუღურეთი არ არის გათვალისწინებული პროექტების მცირე რაოდენობის გამო (თითოეულ რაიონში 5-ზე ნაკლები პროექტი)



ქირა


გრაფიკი 9: უძრავი ქონების ქირის ინდექსი, იანვარი-21=100



თვე-წელი	წ/წ ზრდა, აშშ დოლარი	თ/თ ზრდა, აშშ დოლარი
თებ-23	116.4%	1.2%
მარ-23	96.9%	2.6%
აპრ-23	52.3%	-1.6%
მაი-23	44.9%	-1.5%
ივნ-23	43.3%	-0.7%
ივლ-23	45.3%	3.4%


წყარო: ეროვნული ბანკი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 10: უძრავი ქონების შემოსავლიანობა და დეპოზიტის განაკვეთები



წყარო: ეროვნული ბანკი

გრაფიკი 11: ქირის შემოსავლიანობა ქალაქის ცენტრში ქალაქების მიხედვით, ივლ-23




წყარო: Numbeo



ბაზრის საფუძვლები

გრაფიკი 12: წლიური ინფლაცია




წყარო: საქსტატი

გრაფიკი 13: საშუალო თვიური კურსი, აშშ დოლარი/ლარი




წყარო: ეროვნული ბანკი

გრაფიკი 14: მომხმარებელთა განწყობის ინდექსი



წყარო: აისეტის კვლევითი ინსტიტუტი


გრაფიკი 15: ხელფასების განაწილება საქართველოში, მლნ ადამიანი



წყარო: შემოსავლების სამსახური




გრაფიკი 16: იპოთეკის საპროცენტო განაკვეთები, %




წყარო: ეროვნული ბანკი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 17: იპოთეკის წილი მთლიანი გაყიდვების ღირებულებაში



გრაფიკი 18: მშენებლობის ღირებულების ინდექსი, I კვარტალი 2019=100



წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი


შენიშვნა: მშენებლობის ღირებულების ინდექსი ქვეყნდება კვარტალურად 2019-22 წლებში, მაგრამ შეწყდა და გადავიდა ყოველთვიურ ანგარიშგებაზე 2022 წლის მარტიდან

	წ/წ ზრდა ივნ-23, აშშ დოლარი	წ/წ ზრდა ივნ-23, ლარი
მშენებლობის ღირებულება	13.6%	0.6%
სამშენებლო მასალები	13.8%	0.8%
ხელფასები	23.9%	9.8%
ტექნიკა	22.0%	8.1%
ტრანსპორტი, საწვავი და ელექტროენერჯია	-10.1%	-20.3%
სხვა ხარჯები	13.5%	0.6%




დანართი - მშენებლობის ნებართვები

გრაფიკი 19: თბილისში საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე გაცემული სამშენებლო ნებართვების ფართობი, '000 მ²




გრაფიკი 20: თბილისში საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე გაცემული სამშენებლო ნებართვების რაოდენობა



წყარო: არქიტექტურის სამსახური, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: 1) მოიცავს მხოლოდ გასაყიდ ფართს, აივნისა და საოფისე ფართების ჩათვლით (საოფისე ფართები ძირითადად იყიდება როგორც საცხოვრებელი)
2) მოიცავს მხოლოდ III და IV კლასის მრავალბინიან/მრავალფუნქციურ შენობებს

გრაფიკი 21: თბილისში საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე გაცემული სამშენებლო ნებართვების ფართობი უბნების მიხედვით, '000 მ²



წყარო: არქიტექტურის სამსახური, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: 1) მოიცავს მხოლოდ გასაყიდ ფართს, აივნისა და საოფისე ფართების ჩათვლით (საოფისე ფართები ძირითადად იყიდება როგორც საცხოვრებელი ფართები)
2) მოიცავს მხოლოდ III და IV კლასის მრავალბინიან/მრავალფუნქციურ შენობებს



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარება ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარება ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, შრეფილების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, შრეფილების მიხედვით. დოკუმენტის მიმღებმა მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, შრეფილები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იტვირთენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმე ნაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, შრეფილების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად არცენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, შრეფილები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფს ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოკლდნი არიან ამ კვლევიტ. შედეგად, ინვესტირებაზე უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
ევა ბოჭორიშვილი | evabochoirishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
დაჩი მუჯირიშვილი | dmujirishvili@gt.ge

ეკონომისტი
ლაშა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ოქროპირიძე | maokropiridze@gt.ge

ანალიტიკური განყოფილების უფროსი
გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ოთარ ცუხიშვილი | othukhishvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების ხელმძღვანელი
კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

სექტორის უფროსი
თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
გიკა ნოზაძე | gnozadze@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
გიორგი ცქიტიშვილი | g.tsikitishvili@gt.ge

ანალიტიკოსი
ზურაბ თავყელიშვილი | ztavkeshvili@gt.ge

ანალიტიკოსი
სერგი ყურაშვილი | skurashvili@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge